ინფორმაციის თავისუფლების შესახებ
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წლიური ანგარიში
(2012 წლის 10 დეკემბრიდან 2013 წლის 10 დეკემბრამდე)

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროში 2012 წლის 10 დეკემბრიდან 2013 წლის 10 დეკემბრამდე საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოსულია 202 განცხადება. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა“ და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილების შესაბამისად, 2013 წლის სექტემბრიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროში უზრუნველყოფილია საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გამოთხოვა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“, მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის - MY.GOV.GE - მეშვეობით. აღნიშნული სერვისის საშუალებით სამინისტროში 2013 წლის სექტემბრიდან საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე სულ შემოვიდა 6 მოთხოვნა.

რაც შეეხება საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობას, 2012 წლის 10 დეკემბრიდან 2013 წლის 10 დეკემბრამდე მსგავსი მოთხოვნის არცერთი შემთხვევა არ არის დაფიქსირებული.

ბ) საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროში შემოსული განცხადებებიდან,

1. საჯარო ინფორმაცია განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად, გაიცა 128 შემთხვევაში;
2. 21 შემთხვევაში მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;
3. 9 განცხადება განხილვის პროცესშია;
4. 36 განცხადებაში აღნიშნული საკითხები ეხებოდა სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილების სფეროს და, შესაბამისად, განცხადებები გადაეგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს;
5. 8 შემთხვევაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ამასთან, 2012 წლის 10 დეკემბრიდან 2013 წლის 8 აგვისტომდე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი იყო სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის უფროსი ირინა წაქაძე. სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფთა შორის უფლებამოსილებათა ახლებურად განაწილების შედეგად, მიმდინარე წლის 8 აგვისტოს სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირებად დაინიშნენ ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მრჩევლები: მარიამ ლაცაბიძე და სოსო გიორგაძე. ამის

გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის შესახებ ინფორმაციას.

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილების 128 შემთხვევიდან,

1. 51 განცხადება განიხილა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა ირინა წაქაძემ;
2. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილება 15 შემთხვევაში მიღებულ იქნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მოვალეობის შემსრულებლის - გიორგი ნოზაძის, მიერ;
3. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე 1 გადაწყვეტილება მიღებულ იქნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მოვალეობის შემსრულებლის - ზაურ აბაშვილის, მიერ;
4. მიმდინარე წლის 8 აგვისტოდან სამინისტროში შემოსული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილება 49 შემთხვევაში მიიღო სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა მარიამ ლაცაბიძემ, ხოლო 12 შემთხვევაში გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის - სოსო გიორგაძის, მიერ.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა შემდეგი თანამდებობის პირების მიერ:

1. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ირინა წაქაძე (1 მოთხოვნა);
2. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ნოზაძე (3 მოთხოვნა);
3. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი მარიამ ლაცაბიძე (4 მოთხოვნა).

გ) სამინისტროს ცენტრალური აპარატის ცალკეული სტრუქტურული ერთეულები მათთვის დებულებით დაკისრებული საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებდნენ პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებასა და შენახვას. სამინისტროში დაცულია პერსონალური მონაცემები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (დეს) ინახება ელექტრონული ფორმით არსებული პერსონალური მონაცემები. აღნიშნულ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ თანამდებობის პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავებისა და შეგროვების უფლებამოსილება. დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში არსებული პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია

შესაბამისი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური საშუალებებით, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირებისათვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას.

2012 წლის 10 დეკემბრიდან 2013 წლის 10 დეკემბრამდე სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ პერსონალური მონაცემების გაცემა ხორციელდებოდა მხოლოდ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევებში და კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

დ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ გამოვლენილა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-3 თავის მოთხოვნათა დარღვევისა და ამ საფუძვლით პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელების დადების არცერთი ფაქტი.

ე) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან/და საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სამინისტრო ეყრდნობოდა საქართველოს კონსტიტუციასა და „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს“, ასევე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 7 ნოემბრის №541 ბრძანებულების მოთხოვნებს.

საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ქვემოთ მოყვანილ შემთხვევებში, ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს:

1. განცხადება შეიცავდა სამართლებრივი ნორმების განმარტების მოთხოვნას, რაც, „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 7 ნოემბრის №541 ბრძანებულების თანახმად, სცილდებოდა სამინისტროს უფლებამოსილებას (3 შემთხვევა);
2. განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია სამინისტროში დაცული არ იყო (3 შემთხვევა);
3. განცხადებაში მოთხოვნილი ინფორმაცია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, შეიცავდა სხვა პირთა პერსონალურ მონაცემებს და სახეზე არ იყო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული მათი გაცემის არცერთი საფუძველი (1 შემთხვევა);
4. განცხადებით მოთხოვნილი იყო საქართველოს იუსტიციის სამინისტროში დაცული ხელშეკრულების ასლი, რომელიც შეიცავდა კონფიდენციალურობის შესახებ დებულებას. შესაბამისად, სამინისტრო მოკლებული იყო ხელშეკრულების გასაჯაროების შესაძლებლობას მეორე მხარის თანხმობის გარეშე (1 შემთხვევა).

ვ) ბოლო ერთი წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციის გაცემის კუთხით სამინისტროს ხელშეკრულებათა ექსპერტიზისა და სასამართლო წარმომადგენლობის დეპარტამენტში დაფიქსირდა 2 ადმინისტრაციული საჩივარი. ორივე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული საჩივრის ავტორმა უარი თქვა ადმინისტრაციულ საჩივარზე, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 191-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, რადგან ადმინისტრაციული საჩივრის საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების დროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ დაკმაყოფილებულ იქნა ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნა. შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოება შეწყდა.

ზ) სამინისტროს მიერ ინფორმაციის გაცემის, აგრეთვე, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით საანგარიშო პერიოდში არ წარმოშობილა ხარჯები. ამასთან, ადგილი არ ჰქონდა სამინისტროსათვის მხარის სასარგებლოდ გადასახდელი თანხის დაკისრებას.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი

თეა წულუკიანი